№ 219 28 ღვინობისთვე, შაბათი 1866—1878 28 ღვინობისთვე, შაბათი № 219

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამიროლოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** თვლის წლისა—8 მან., ნ ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი ენკენისთვიდამ ამ მდგომარე წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ორ მანეთად.

**ხელის-მოწერა** შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

# საქართველო

## ტფილისი

*** გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა, რომ ქალაქი სოხუმი და იმის არე-მარე ამ ჟამად იმდენათ გაასუფთავესო, რომ იქ დასახლება საშიში აღარ არისო. სოხუმში უკვე გადაუტანიათ ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებაები, როგორც მაგალითად სოხუმის გამგებლის კანცელარია, ფოჩტა, ტელეგრაფი და სხვ.

*** იმერეთიდამ გვწერენ, რომ იქითკენაც დიურიგებიათ სახელმწიფო (ჯარის) ცხენები ხალხისათვის. ქუთაისის უეზდში, მაგალითად, ეწრის, ქულაშის, აბაშის და მუხა-რუისის სოფლის საზოგადოებებში თითოში თორმეტ-თორმეტი ცხენი დაურიგებიათ, და ყველა ამ საზოგადოებებს გარდაუწყვეტია, რომ ეს ცხენები გაჰყიდონ და აღებული ფულით შკოლა ანუ ბანკი გამართონ.

მაგრამ კორრესპონდენტი გვწერს, რომ ზოგიერთს სოფლებში (მაგ. აბაშაში) ამ ცხენების გაყიდვის დროს მამასახლისებს თავისებური ოინები უხმარიათ და მიდგომით იეფად გაუყიდნიათ თუ თვითონვე უყიდნიათ ცხენები. შვიდი ცხენი, რომელთაგან თითო უკანასკნელ რვა—ათ თუმნად ღირდაო, სულ ორმოც თუმნად გაუყიდნიათ სოფ. აბაშაში.

*** ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ უფ. ჯანჯულაზოვის შენობიდამ გადმოვარდა ერთი მუშა და მოკვდაო. როგორც აღმოჩნდა, ამ ამბავში ცოტა შეცდომა მოგვსვლია: იმუშა უფ. ჯანჯულაზოვის შენობიდამ კი არ გადმოვარდნილა, არამედ თ. არღუთინსკი-დოლგარუკის სახლიდამ, რომელსაც იქვე, ზემოხსენებული სახლის გვერდით აშენებენ.

*** „თფილისის მოამბეს“ გაუგონია, რომ ჩვენს აქციზის გამგეობას განზრახვა აქვსო უმაღლესს მთავრობასთან წინადადება შეიტანოსო, რომ მარილის აქციზი (გადასახადი) მოუმატონო.

თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით იმას, რომ აქციზის მომატება გაძვირებს ჩვენში მარილს, რომელიც ხალხისათვის პურსავით აუცილებელ სა-

# ფელტონი

## დავით კტრატპალატის ამბავი

(ისტორიული მასალა)

იმ დღეს „დროების“ № 204-ში ზარზმის ეკკლესიის წარწერებში, სხვათა შორის, მოვიხსენეთ თაოსკარელი დავით კურატპალატის ცინაობა მეტად გაკვრით, განუმარტველად.

ჩვენს „ქართლის ცხოვრებაშიც“ ნაჩვენებია მის წარჩინებულება ამ მოკლე სიტყვით: „და განდიდნა დავით კურატპალატი უმეტეს ყოველთა მეფეთა ტაოსთაო“ (205 გვერდზედ) და არა საკმაოდ. მამა მიხაილ ჩამჩიანი უფრო გარკვევით გვიხატავს იმის ცხოვრებასა. მგონებ საცნაურნო და თან საინტერესოც უნდა იყოს „დროების“ მკითხველთათვის აღწერა რამდენიმე შესანიშნის საგნებისა, რაც ჩვენს ისტორიაში არ არის.

დავით კურატპალატი იყო ძე ბაგრატიონი ატარნარსე კურატპალატისა, კაცი ყოვლისფრით სრული: ღვთის მმოსავი, სასულიეროთ პატივცემული, გულუხვი, გლახაკთ მოწყალე, მშვიდი, მდაბალი, სწავლული, მხნე მეომარი, მამულისათვის თავგანწირული და უცხოთ მოყვარე. ამის ესრეთი უებარი ნიჭიერება რომ ნახა რომანო კეისარმან, 961 წ.) მისცა კურატპალატობა და დაიჭირა თავის პირველ მეგობრად. (კიდევაც ეჭირებოდა მისთანა ერთგული, სანდო პირი თავის კეისრობის ეგრედ გაჭირვებულობის დროს, როცა დიდი თუ პატარა, შინაური თუ გარეული, მეცნიერი თუ უმეცარი, ერთი მეორის დაცილებით სცდილობდნენ კეისრობის წართმევასა). რომანო კეისარი მართლა, დავითის შემწეობით, თავის სიცოცხლეში თუმცა ასცილდა ბევრს არა სასიამოვნო მოვლენასა, გარნა თავის სიკვდილის შემდგომ კი ველარა: მაშინვე წარიტაცა კეისრობა დიდებულებში უძლიერესმა მარინო დიდებულმა!

რა სცნა ეს სომეხმან ჩიმშიკ მხედართმთავარმან, დაესხა თავის მხედრობით ანაზდად თავს მარინოს, გარდააგდო კეისრობისაგან და მის მაგივრად დასვა თავის მეგობარი ჭანეთის დიდებული აღმოსავლეთის სარდალი ნიკიფორე ფოკასი; მაგრამ დიდ ხანს არც იმას შერჩა: ამ ახალ კეისრის ცოლს თეოფანე დედო-

ნიკიფორე ფოკასი და თავის მოწონებული ჩიმშიკი შეირთო ქრმად! ამ გვარი მოქმედებისათვის თუმც აუტეხა ომი მოკლული იმპერატორის ძმის წულმან ვარდო ფოკასმან, გარნა ვერა გაარიგარა და კიდევაც დამარცხდა.

თავის ბარბაროსობის გამო, რომ სტანჯდა ჩიმშიკს სინიდისი, 975 წ. გააკეისრა რომანო კეისრის შვილი ბასილი. პირველს შემთხვევაშივე შეეფიქრა ბასილ კეისარს თეოფანე დედოფლის ძმის სიკლაროსაგან, რომელსაც მინდობოდა უკვე აღმოსავლეთის სპასპეტობა, შეუცვალა სამსახური და სხვა მდაბალ თანამდებობაზედ გარდაიყვანა. ესრეთი მოულოდნელი შეურაცხება ვერ მოითმინა სიკლაროსთანა ამაყმა კაცმა, მიიმხრო დიდებულნი, მხედართ-მთავარნი მათის სამხედროითა და გაკეისრდა უეცად! მით ასტყდა სიკლაროსსა და ვასილს შუა საშინელი უწყვეტლივი ომები: წყვეტა, ქლეტა, ოხრება ქვეყნებისა. მაგრამ მაინც ვერას ღონით ვერ მოუვიდა თავსა ბასილ კეისარი: ის დღითგან დღეზედ უფრო გაძლიერდა, შეაჭირვა ყოველის მხრითდა შეაწყვდია კოსტანტინოპოლში!

ბასილ კეისარი დარწმუნებული, რომ

ჭირობას შეადგენს, მეორეს მხრით იმას, რომ ამით ხაზინა თითქმის ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახავს და მესამეს მხრით კიდევ იმასაც, რომ ჩვენი მთავრობა ცდილობს მარილის აქციზი შეამციროს რუსეთში, თუ ყველა ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უმაღლესი მთავრობა უყურადღებოდ დააგდებს ჩვენი აქციზის გამგეობის შეუსაბამო წინადადებას და ნაცვლად მომატებისა, ამ აქციზის შემცირებასა და მარილის გაიეფებას აღირსებს ხალხსა.

** გაზეთის „ივერიის“ უკანასკნელს (42) ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შეწევნისათვის“ გამგებელ კომიტეტს თხოვნა შეუტანია სასწავლებლის გახსნის თაობაზედ. კომიტეტს განზრახვა აქვს გახსნას თავის შკოლა იანვრის დასაწყისშივე, თუ, რასაკვირველია, დროზედ მიუვიდა ნება-რთვა სამასწავლებლო მმართველობისაგან.“

** ყარსელი კორრესპონდენტი გაზეთის „კავკაზისა“ სხვათა შორის გვაცნობებს, რომ, ყარსის ღუბერნატორის ღენ. ფრანკინის განკარგულებით, იქ შემდგარა (მეჯლისი) კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის გამგეობა, მიწა-წყლის დავების გახილვა, ქალაქის კეთილ-გაწყობილებაზე ზრუნვა და სხვა. ამ კომისიის წევრებად დანიშნულია სამი ადგილობრივი მაჰმადიანი, ორი სომეხი და ერთიც რუსის ჩინოვნიკი (თავ-მჯდომარედ).

** ძნელად თუ ვისმე უნახავს თფილისში მადროს ამისთანა ჩინებული ტაროსები როგორიც ამ ჟამად არის. მთელი ესლვინობისთვე ისე მიდის რომ სწორეთ გაზაფხულის დღეები მოგაგონდებათ, არც ქარი, არც წვიმა და არც სიცივე. დღისით ისე თბილა ასეთი მზე გვანათებს, რომ საზაფხულო ტანისამოსით დაიარებიან. მხოლოთ ღამით კი ცოტათი, ისიც ძალიან ცოტა აგრილდება ხოლმე. ვნახოთ, ზამთარი როგორი დაგვიდგება...

---

# უცხო ქვეყნები

---

## ინგლისი

ლონდონის გაზეთებში შემდეგი ამბებია დაბეჭდილი ინგლისსა და ავგანისტანს შუა შეტაკების თაობაზედ:

„საინგლისო ინდოეთის მთავრობამ ამ ღვინობისთვეში გაუგზავნა ავგანისტანის ემირს ულტიმატუმი, რომლითაც მოსთხოვა იმას, რომ, [illegible] უომოთ გაათაოს საქმე, ბოდიში მოითხოვოს ინგლისის წინაშე იმის ელჩების მიუღებლობისათვის და ამას გარდა ზოგიერთი სხვა მოთხოვნილებაც შეასრულოს.

„ამ მოთხოვნილებაზე ინგლისს სრულებით არა-დასაკმაყოფილებელი პასუხი მოუვიდა ავგანისტანიდამ: ემირი თანახმა არ არის, რომ ბოდიში მოითხოვოს ინგლისის წინაშე და ან სხვა რომელიმე პირობა შეასრულოს.

„თუმცა ეს ასეა, მაგრამ ინგლისში ჯერ კიდევ იმედი აქვთ, რომ ეს საქმე უბრძოლველად გათავდება: საინგლისო ინდოეთის მთავრობა ერთხელ კიდევ აპირებს ცდას: უნდა გაუგზავნოს ემირს უკანასკნელი ულტიმატუმი და მოსთხოვოს იმას დაკმაყოფილება შეურაცხყოფისათვის. თუ არც აქედამ გამოვიდა-რა, მაშინ ხრმალმა უნდა მოგვარიგოს ჩვენ ავგანისტანთან.“

ამ დღეებში იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ლონდონიდამ მიღებული დეპეშა, რომლიდამაც ვტყობულობდით, რომ ავგანისტანის ემირს გარდაწყვეტილი უარი უთქვამს ინგლისის დაკმაყოფილებაზე. „—ყოვლადფერი ღვთის ხელშიაო!“ შემოთვალა ემირმა.

## ოსმალეთი

მოგეხსენებათ, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა მოლაპარაკება არის ამ ჟამად იმაზედ, რომ ოსმალეთი ახალის პირობით შეეკრას რუსეთს, რომელშიაც მოხსენებულ უნდა იყოს ყველა პირობები

---

ფლსა შეუჯდა ეშმაკი, მოაკვლევინა იყო თავის მამის ერთგულს დავით კურაპალატის სიქველე სიმხნეზედ, 980 წ. სთხოვა გაჭირვებით შემწეობა მძლავრ სკლაროზედა და მაინც ყოვლის უარის უთქმელად აღუსრულა, ამ რიგად, რომ გამოიწვია პორტადის მონასტრისაგან თვისიანი მ. თორნიკი, რომელს უძლეველობისათვის „ჯოჯიკს“ უწოდდნენ, მისცა ხელთ 12,000 რჩეული მხედარი და გაუყენა სკლაროსს საბრძოლველად.

ყოველგან, საცა ხელს უწვდებოდა, თავგანწირულად დაუდვა მრავალგან მრავალი ომი მძლავრმან; გარნა ყოველგან მარცხდებოდა; როცა გარდაიწყვიტა იმედი სკლაროშ, გარდაიხვეწა ბაღდადისაკენ და იქაურ ამირას შეეხიზნა. ამ გვარი ქვეყნად განთქმული დიდის გამარჯვებისათვის, ურიცხვის ნაშოვარი სიმდიდრის გარდა უბოძა კეისარმან დავით კურატპალატს კარინი და სომხეთი მრავალი ქალაქ-დაბებითა სანიჭარად!

ამ ომში მრავალნი მესხები დაჯილდოვდნენ, მრავალნი გამოიცადნენ და მრავალთ სამხედრო ნიჭეპიც აღმოიჩინეს; სხვათა შორის მეტად წარემატნენ თავოსკარელები; ერთმან ჩორდუნელ მაგისტრმან დაიჭირა დერჯანის და ტარონის მხარენი ქურთისტნისაკენ; მეორეთ ოჩოპინტრის ძეთ გაბრიელმან და იოანემ მხედართ-მთავრობა მიიღეს; აგრეთვე სამესხეს ხურციძეთ და ჯავახეთის გამრეკელმან მხედართ თავობა დაიმტკიცეს. პირველმა ჩორდუნელ მაგისტრმა მრავალი ომები აუტეხა ბერძნის სარდალს ქანსა და ბევრგანაც დაამარცხა; კეთილშობილურად თავს რომ ვერ მოუვიდა ქანი, ზაკვას ხელი ჰყო, შეუმჩნია მტრად თვისიანივე სომეხნი და ღალატით მოაკვლევინა ბაგარატის ველზედა!

996 წ., რა მოკვდა აპაუნის ემირი, მიადგა დავით კურატპალატი თავის ძლიერი მხედრობით ქურთისტნის მანახკერტის ქალაქსა და სასტიკის ომით აიღო ისა, მუნებურნი განაძია და მათ ნაცვლად ქართველნი და სომეხნი დაასახლა. ამაზედ გაბოროტებულნი მაჰმადიანები აემტერნენ ერთიან, იწინამძღვრეს ადარბადაგანის დიდი ემირი მამლუნა, მოვიდნენ ურიცხვის ჯარითა წალკოტს (წალკას) კოსტიან სოფელში და დაიბანაკეს; გარნა დავით კურატპალატის ძლიერი მზადებისაგან შეეშინდათ, მოაოხრეს სომხეთი და გაიქცნენ თავ-თავიანთ მხარეს. მაშინ დაედევნა გამრეკელი ჯავახ თორელებითა, ეწია უგრძნობელად, მოსწყვიტა ხმლით ურიცხვნი, მოსტაცა დიდ ემირს მამლუნას ცოლი და მოიყვანა დავით კურატპალატთან დიდის ნაშოვარითა.

რა მცირეოდენი შეასვენა მხედრობა, გაილაშქრა კვლავ ქურთისტნის ხლათის ქალაქზედა; შემოადგა და შეაჭირვა დიდად, ვიდრე ახლო იყო აღება ქალაქისა, აღმოჩნდა სომხებში ჭრელობა; მით უკან გამოეცალა დავითი თავის ყოველი ძალითა, დაედევნენ ხლათელნი, წინაც დაუხვდნენ ბუსუნში მდგარნი, გაჩნდა დიდი ბრძოლა, გარნა გაავო მტერი და გამოვიდა უძლეველად, მხოლოდ მოიკლა ბაგრატ მაგისტრი და თავადი ბაკური დაიპყრეს ტყვედ.

998 წ. დიდმა ემირმა მამლუნმა გაიმრავლა ჯარი სპარსეთით, ხორასნით და მიდიით, გამოილაშქრა, გამოვლო ადარბადაგანი, მოვიდა და შემოადგა მანაზკერტს ასი ათას კაცითა. გაბრიელ და მის ძმას იოანე ოჩოპინტრის ძეთ ახლდათ მხოლოდ 20,000 მხედარი. დავითი, მოხუცებულობის გამო, აღარ შევიდა თვით ომში, არამედ მიანდო ოჩოპინტრის ძეთა.

ესენი წინა განეწყვნენ მტერს წიმბის სოფლის მაღალ გორაზედ; მაგრამ არ აუტხეს ომი მოშიშარობით სიმცირისა გამო. რა ჰსცნა მხრდალობა ქართველთა მამლუნამ, გაითხვია იმ დღესვე ბრძოლის ველზედ საომრად, მაგრამ გაბრიელმან არ ინება: გამოცვინდნენ მტრის ურდოსგან ბუმბერაზნი და აგინეს ქართველთა, თუმც უკუაყენებდა

რუსეთის დაკმაყოფილებისა, რომელნიც ბერლინის ტრაქტატში არ არიან მოყვანილნი. ოსმალეთი არ თანხმდება ამ ახალი პირობის შეკვრაზე. ამბობენ, ლეიარდი ურჩევს პორტასაო, რომ, რადგან ერთი პირობა—ბერლინისა—მიღებულია და ევროპისაგან დამტკიცებული, ამის გამო სხვა ახალი პირობის შეკვრა საჭირო არ არისო, რუსეთი სრულიად დაკმაყოფილებული არისო და სხვ.

ოსმალეთის ბოლგარიელების აჯანყებას გარდა, აი ეს არის კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ რუსეთი არათუ აღარ აბრუნებს ამ ჟამად სტამბოლის ახლომახლო ადგილებიდამ თავის ჯარებსა, არამედ, როგორც ჩვენს გუშინდელს ნომერშიაც იყო მოხსენებული, ახალი ჯარების გაგზავნასაც აპირებს და ამისათვის ხომალდებს ამზადებს ოდესსაში და ნიკოლაევში.

— კანდიის კუნძული სრულიად დაუმშვიდებია მუხთარ-ფაშას, რომელიც ამას წინათ გაგზავნა პორტამ იქაურ აჯანყებულების მოთავეებთან მოსალაპარაკებლად. ეს აჯანყებულები დათანხმებულან მუხთარ-ფაშის წინადადებებზე და პირობებზე და ამასთანავე გადაუწყვეტიათ, რომ, თუ ამ პირობებს შეგვისრულებს პორტა, თოფ-იარაღს დავყრითო.

— სამხრეთ ბოლგარიის (აღმოსავლეთ რუმელიის) ხალხს გაუგზავნია დეპუტაცია იმ კომისიასთან, რომელმანც ახალი გამგეობა და წესები უნდა დაადგინოს ამ მხარეში, და უთხოვნია, რომ მთელი ჩვენი ხალხის ერთად-ერთი ნატვრა და მეცადინეობა ის არისო, რომ ჩვენ თანამოძმეს ჩრდილოეთ ბოლგარიელებს შეუერთდეთო და იმათთან ერთად ცალკე, თავისუფალი სახელმწიფო შევადგინოთო.

— „კელნის გაზეთის“ კორრესპონდენტი იწერება ბურგასიდამ, რომ ამ ქალაქში რუსის აფიცრებსა და ინგლისელებს შუა რაღაცა უბრალო საქმეზე ჩხუბი მოსვლიათ ერთს სასტუმროში და ბევრი უცემიათ ერთმანეთისათვის. ამ საქმის გამოსაძიებლად ხსენებულს სასტუმროში მისულა ადგილობრივი ინგლისის ელჩი; მაგრამ რუსის აფიცრებს დაუჭერიათ ის და იმდენი უცემიათ, რომ ცოცხალ-მკვდარი წაუყვანიათ შინ.

---

### რუსეთი

ოდესსის გაზეთები გვაცნობებენ, რომ იქაურს ოლქის სასამართლოში ამ მოკლე ხანში სხვათა შორის უნდა განიხილონ საქმე იმ უწესოების თაობაზედ, რომელიც გასულ ზაფხულს მოხდა ოდესსაში, როდესაც ორი კაცი მოკლეს ქუჩაზე არეულობის დროს და სამი სალდათიც დასჭრეს. ამ საქმის თაობაზე, როგორც იწერებიან, 40 კაცია მოწმად მოხმობილიო.

მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ ოდესსის გრადონაჩალნიკი გრაფი ლევაშოვიც ამ საქმის გამო იყო თანამდებობიდამ დათხოვნილი.

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი, 25 ოქტომბერს.** დღეს დაატუსაღეს აქ ორი პოლშელი ურია, რომელთაც აბრალებენ ყალბი ბილეთების გაკეთებას, იმათ სახლში ნახეს მაშინები და ბილეთების ამოსაჭრელი ქვები.

**ბერლინი, 25 ოქტომბერს.** გამოცხადებულია განკარგულება, რომლის ძალითაც 19 ნოემბრისთვის უნდა შეიკრიბნენ ორივე პალატები პრუსიის სეიმისა.

**ათინა, 25 ოქტომბერს.** კუმინდუროსს მინდობილი აქვს ახალი სამინისტროს შედგენა; დღეს საღამოს ის წარუდგენს კაროლს ახალი მინისტრების სიაში.

---

## განცხადებანი

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲨᲘ თ. ნიკო ჭავჭავაძის მამულის გვერდით, **ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ** სულ 700 **ᲓᲔᲡᲘᲐᲢᲘᲜᲐ,** რომელიც შეიცავს სახნავ-სათეს ადგილს, ტყეს, საწისქვილეს ადგილს (იორზე).

ფასისა და აგრეთვე უფრო დაწვრილებული გარემოების შეტყობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სახლს № 8.

(10—9)

---

გაბრიელი, გარნა ველარ მოითმინეს ეგრეთი ლანძღვა მტრისა ზოგიერთთა და გავიდნენ, შეებნენ რიგ-რიგისად ხუთნი ქართველთაგან და ხუთნივე მოიკლნენ. მით გაამაყდნენ მტერნი და ძალის-ძალად შემოეხვივნენ ქართველთა. მაშინ გაბრიელმან განაწყო ქართველნი ძლიერად და ეგრეთი ანალეწი შეუყენეს მტერს, რომ გზა ველარ გაიგნეს და ერთმანერთი სწყვიტეს შიშის ზარითა! რა ყოველ მხარეს სისხლი აადინეს მტერსა ქართველთა ასრე, გაიქცნენ მაჭადიანნი და სდევნეს ქართველთა არჭეშის ქალაქის კარამდის, აიღეს მრავალი ტყვე, ნაშოვარი და გამარჯვებულნი შემოიქცნენ დავითთან ღვთისა მადიდებელნი, რომ არა ვინ მოჰკლომოდათ ჩინებულთაგან იმ ხუთ ბუმბერაზთ გარდა!

999 წ. დავითის ესრედი განდიდება რომ ველარ მოითმინეს ზოგიერთ სომხებმა, შეატყუეს საწამლავ საჭმელში, მაგრამ სცნა ყოველი დავით კურატპალატმა, მაგრამ მიუტევა ბრალნი დამნაშავეთა და ეგრედ კეთილად გარდაიცვალა.

კვლავ 1009 წ. მოვიდა ვასილ კეისარი თაოს კარის მხარეს; გაეგებნენ აფხაზეთის მეფე ბაგრატი და მეფეთ მეფე მამა მისი გურგენი პატივისცემითა; ერთს მიანიჭა კურატპალატობა და მეორეს მაგისტრობა.

ვასილ კეისრის წასვლამდის ერთი სამწუხარო შემთხვევა მოხდა უბრალო შემთხვევით თუ განგებ შეჩენითა: ვასილ კეისარს 6,000 რუსის მხედარი ახლდა სხვათა შორის. ერთმა რუსმა ქართველთ ურდოთგან თივა აალღიავა, წაიღო; ამას დახვწდა უკან ქართველი და დაუწყო თივის წართმევა; რუსი რომ გაუძალიანდა, მოჰკლა ქართველმა ის რუსი. მაშინ იქითგან რუსები, აქეთგან ქართველნი შეგროვდნენ და გაჩნდა დიდი წყვეტა; შევიდნენ თავგანწირვით თაოს კარელნი დიდებულნი დასამშვიდებლად; მაგრამ რუსებმა არ დაინდეს, წაუსვეს ხელი და 30 დიდებული მოჰკლეს; იმათთან მოიკლნენ ჩინებულნი მხედართ-მთავარნი გაბრიელ და იოანე ოჩოპინტრის ძენი!

დიდად ეწყინათ ქართველ მეფეთ ესრეთი სამწუხარო მარცხი, მაგრამ აღარა სთქვეს-რა. როცა წავიდა ვასილ კეისარი, დაიპყრეს ყოველი ქონებული მიწა-წყალი დავით კურატპალატისა; ამისთვის თუმც ეომა დიდ ხანს ვასილ კეისარს კანიკულა მხედართ-მთავარი, გამარჯვება მუდამ ქართველ მეფეთ რჩებოდათ. უკანასკნელ, რომ ველარ გაუვიდა, მიუტოვა ყოველი ქართველთ და ასრე შეირიგა!

გურგენ მეფის გარდაცვალების შემდგომ შავ ზღვის მიყოლება გურგანის ზღვამდის გ. ბაგრატ მეფეს დაშთა ერთ სამთავროდ. მაგრამ დიდხანს ვერ დაიმშვენა: თუ რომ დასცალებოდა, უეჭველად მრავალ წარმატებას ნახავდა ჩვენი საქართველო; 1015 წ. გარდაიცვალა და გამეფდა ძე მისი გიორგი...

გაველილ წელს, წყალთბილას, ახალი სახლის საძირკვლის თხრის დროს, აღმოჩენილიყო ძველის-ძველი სასაფლაო საომარ ველზედ დახოცილთა; მიცვალებულნი ზედიზედ ყოფილიყვნენ დამარხულნი, დიდი წილი წამიწებულიყვნენ ბევრის ძვალ-ხერხემლი და რაც დაშთენილიყო, თითქმის 2 არშინამდი ყოფილიყვნენ მუხლის ძვლები. ამათ ზედ ჰქონდათ სპილენძის შუბები, ასტმების ნაირი იარაღი და საცერეები სრულ სპილენძისა დაუკავშირებელი ორად დახვეული. უცოდინარობით მიეცათ მექვაბისათვის და ჭურჭლები გაეჭედვინათ.

რამდენიმე წვრილი საცერეები აერჩიათ. მაგრამ მე თქვენ დაგარწმუნებთ, ახლა კაცი აღარ გამოვა ჩვენში, რომ ეს ირგუნოს ცერზედ. ერთი შუბის პირი და ერთიც კერპი იხვისა მეც გამოვართვი ფართა.

ვინმე მეხხი

ახალციხეს, 22 ღვინობისთვეს.

# ქუთაისის სააღგილ-მამულო ბანკისაგან

გამგეობა მიხაილის აზნაურობის სააღგილ-მამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით, ამა 1878 წლის 28 ნოემბერს, გამგეობაში, რომელიც არის ქ. ქუთაისს, თფილისის ქუჩაზედ, თავადის ნიჟარაძის სახლში, საზოგადო ვაჭრობით გაიყიდებიან უძრავნი მამულნი ქვემო მოხსენებულთა პირთა, ვალითი გადასახადთა, დაწესებულთა ბანკის წესდების §§ 31, 32 და 33-ის ძალით, მათ მიერ შემოუტანლობისა გამო:

**წერეთელთა**, გიორგი და დიმიტრი ექვთიმეს ძეთა, ვასილი სიმონის ძისა და შტაბს-კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა—20 დესიატინი და 1980 კვადრატული საჟენი სახნავი და სათიბი მიწა, სახელდობრ „სარბევი“, მდებარე წინაველში ქუთაისის უეზდისა.

თავნი ვალი 2,000 მანეთი, შემოუტანელი გადასახადი 150 მანეთი.

**მათივე**—ორი ერთ-ეტაჟიანი სახლი,—ერთი ქვით-კირისა და მეორე ხისა, ეზოით, სახნავით, ვენახით და ტყითური, ზომით 4 დესიატინი და 300 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, ბალის ქუჩაზე.

თავნი ვალი 6,560 მანეთი და 73 კაპ., შემოუტანელი გადასახადი 782 მანეთი და 80 კაპ.

**ღოღაბერიძისა**, გიორგი ბესარიონის ძისა, ოთხი ქვით-კირის ერთ-ეტაჟიანი დუქნები, ეზოთური, ზომით 276 კვადრატული საჟენი, მდებარე ქ. ქუთაისს, მიხაილის ქუჩაზე.

თავნი ვალი 17,737 მანეთი და 64 კაპეიკი, შემოუტანელი გადასახადი 1,297 მანეთი.

ვაჭრობა დაიწყება ბანკისაგან ვალით, ზედდამატებით იმ ხარჯებისა, რომელიც ბანკს მოუხდა მამულის გასასყიდლად დანიშნვისამებრ. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა შეუძლიათ განიხილონ გამგეობაში აღწერაები და საბუთები, რომელნიც გასაყიდელთა მამულთა შეეხებიან.

თუ პირველი ვაჭრობა არ გამოდგა, მაშინ დაინიშნება მეორე და უკანასკნელი—ამა 1878 წლის 14 ქრისტეშობისთვისათვის (§ 24).

მამულების მყიდველთა შეუძლიათ ბანკის ვალი თავის თავზე გადაიტანონ (§ 22).

(3—1)

---

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

---

უ. ექვთიმე ხელაძის სტამბაში იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა საქართველოს

## კალენდარი

ქართველთა და სომეხთა

1879 წლისა,

ქართულის ქრონიკონით

35 წლისათვის

შედგენილი ი. ლიაძის მიერ

და გამოცემული

ექვთიმე ხელაძისაგან

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

რომანი

ლავრენტი არდაზიანისა.

გამოცემული

ი. მელიქოვისა და გ. ჩარკვიანისა.

ფასი 30 კაპეიკი.

---

ისყიდება

## „კრებული“

1873 წლისა

ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში, კლუბს ქვეშ.

თფილისში: გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკკლესიის სახლში,

ფასი: №№ 3, 4, 7, 8, 9-ის თითოსი ხუთ-ხუთი შაური; №№ 5 და 6 ორივესი ერთად ათი შაური; № 10—ორი შაური; №№ 1 და 2 ცალკ-ცალკე არ ისყიდება, და მთელის წლის ათი ნომერი ღირს ხუთ მანეთად.

---

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის ([illegible] მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 26 ოქტომბ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯრისა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი | 1 | 50 |
| ქერი ფუთი | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 6 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 7 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 5 | 60 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 81 |
| სპირტი ვედრო | 4 | [illegible] |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 60 |

**თფილისის სამკურნალო**

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვარიევის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და გალლეუჩი,—შინაგ. ავათ., ქიურჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშიროს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—სნებით და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიურჩარიანცი—იფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—სნებით ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 Октября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.